g-10/1961

# ხელშეკრულება

ქ. თბილისი 03 ოქტომბერი 2011წ.

**შპს „საგზაო ტექნიკა“** (შემდეგში „შემკვეთად“ წოდებული) მისი **დირექტორის გიორგი როგავას** სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, **შპს „კონსაუდი“** (შემდეგში „შემსრულებლად“ წოდებული) მისი **დირექტორის რევაზ ძაძამიას** სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

**1.1 თანმხლები აუდიტორული მომსახურება, რომელიც მოიცავს:**

1.1.1 საკონსულტაციო მომსახურებას ფინანსური აღრიცხვისა და საგადასახადო დაბეგვრის სფეროში.

1.1.2 საგადასახადო დასაბეგრი ბაზის განაზღვრისა და საგადასახადო დეკლარაციების შედგენის სისწორის შეფასებას;

## 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

**2.1. შემსრულებელი ვალდებულია:**

2.1.1 გაუწიოს შემკვეთს კვალიფიციური მომსახურება.

2.1.2 მომსახურების გასაწევად იხელმძღვანელოს საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით.

2.1.3 მომსახურების შესრულება დაიწყოს 2011 წლის 3 ოქტომბრიდან და დაასრულოს 2012 წლის 01 იანვრამდე.

2.1.4 დასმულ შეკითხვებზე შემკვეთს კონსულტაცია გაუწიოს ზეპირსიტყვიერად დაუყოვნებლივ ან/და შემკვეთის მოთხოვნისას წერილობით, შეკითხვის წერილის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში გაუწიოს შემკვეთს მომსახურეობა შემკვეთის ოფისში.

2.1.5 უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების 1.1.2 პუნქტით განსაზღვრული შეფასება ყოველთვიურ საგადასახადო დეკლარაციებთან დაკავშირებით და აუცილებლობის შემთხვევაში შემკვეთს მიეცეს მითითება დეკლარაციების დასაზუსტებლად.

2.1.6 საიდუმლოდ შეინახოს მომსახურების გაწევისას მიღებული ინფორმაცია, არ გათქვას შემკვეთის კომერციული საიდუმლოება.

**2.2 შემკვეთი ვალდებულია:**

2.2.1 შეუქმნას შემსრულებელს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პირობები.

2.2.2 წარუდგინოს შემსრულებელს საკონსულტაციო თემებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, პირველადი დოკუმენტები და საგადასახადო სამსახურში წარსადგენი/წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები.

2.2.3 აუნაზღაუროს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

## 3. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 „შემკვეთი“ გაწეული მომსახურებისათვის „შემსრულებელს“ უხდის თვეში 3000 /სამი ათას/ ლარს და დღგ-ს 540 (ხუთას ორმოცი) ლარს.

3.2. ანაზღაურება მოხდება შემსრულებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვის წესით, შემკვეთისათვის გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარდგენიდან 5 საბანკო დღის ვადაში;

## 4. სხვა პირობები

4.1. შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება არ წარმოადგენს აუდიტს ან/და მიმოხილვას და შესაბამისად არ იქნება გამოხატული რაიმე რწმუნება;

4.2 სამეურნეო ოპერაციების ამსახველ პირველადი დოკუმენტაციების, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებსა და შედგენილი ანგარიშგების სისწორეზე მესამე პირებთან პასუხისმგებელია შემკვეთი.

4.3 ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე ვალდებულია გააფრთხილოს 1 თვით ადრე მეორე მხარე.

4.4. შემკვეთსა და შემსრულებელს შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.5. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად და ორივე მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

4.6. ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 03 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2012 წლის პირველ იანვრამდე.

## მხარეთა იურიდიული მისამართები

**შპს „კონსაუდი“**
ქ. თბილისი, წერეთლის №61
საიდენტიფიკაციო კოდი 201950996
სს. „პროკრედიტ ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ა/ა №360201013100116 კოდი 220101922

დირექტორი რ. ძაძამია

**შპს „საგზაო ტექნიკა“**

ქ. თბილისი, გაგარინის 29ა
საიდენტიფიკაციო კოდი 205140257
სს „თი ბი სი ბანკი“ მარჯანიშვილის
ფილიალი ა/ა 360200175 კოდი 220101850

დირექტორი 205140257 გ. როგავა